საქართველო

ქალაქი თბილისი, ქუჩა ენუქიძის,№12. 3601კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ №01.19.22.005.015 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ხის ღობე	ჭიშკარი	
არასაცხ. შენობა	ღობე	ბეტონი	
ფარდული	ქვის კედელი	წყალგაყვანილობა	
მშენებარე შენობა	კედელი	კავშირგაბმულობა	
სატრანსფორ. ჯიხური	ფლატე	ელ. ქსელები	
ხეები	რკინიგზა	ბუნებრივი აირი	
გარე განათება	სამეთვალყურეო ჭები	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა	
	ელ. გადამცემი ხაზი	ინტერნეტ ქსელი	

შენიშვნა: 1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ"
საქართველო, თბილისი, სარტავას ქუჩა 14
ტელ: 598 667070; 577 158039
LTD "BMG GROUP"
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	ნ.ოთხოზორია
დახაზა:	ნ.ოთხოზორია
დამკვეთი:	

მასშტაბი: 1:500 — 22.03.2023 წ.

საქართველო

ქალაქი თბილისი, ქუჩა ენუქიძის,№12. 3601კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ №01.19.22.005.015 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის პროექციის სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
ფარდული	ქვის კედელი	წყალგაყვანილობა
მშენებარე შენობა	კედელი	კავშირგაბმულობა
სატრანსფორ. ჯიხური	ფლატე	ელ. ქსელები
ხეები	რკინიგზა	ბუნებრივი აირი
	სამეთვალყურეო ჭები	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
	გარე განათება	ელ. გადამცემი ხაზი	ინტერნეტ ქსელი

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქ№ 14
ტელ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. ბასილაძე
აზომა:		ნ.ოთხოზორია
დახაზა:		ნ.ოთხოზორია
დამკვეთი:		
მაშტაბი: 1:500		22.03.2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 6958007

გაცემის თარიღი: 29/03/2024 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR11025106
შემოსვლის თარიღი: 22/03/2024
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.22.005.015
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ენუქიძის , N 12
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3601.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ოქროს ხელები" (206151233)

ნომენკლატურა :

- **საწყობი**
- **II კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- მისამართი: ბულაჩაურის ქუჩა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 6791774
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 14.12.2023

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი (ავეჯის და სამშენებლო მასალებისათვის განკუთვნილი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნინო გრიგოლაია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "ოქროს ხელები"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 206151233

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3601.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2012.86
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1967.16
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 1887.86
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 79.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3388.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2541.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 847.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K1=2,012.86/3601=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K2=2,012.86/3601=0.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K3=467.49/3601=0.1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების

გასწვრივ) კერძოდ:

- № 6791774 ბრძანებით დადგენილი გაპის შესაბამისად საპროექტო ობიექტია - 3 (სამი) სასაწყობე შენობა, ხოლო თქვენ მიერ პროექტით წამროდგენილია 6 შენობა (4 სასაწყობე და 2 ტექნიკური შენობა); საჭიროა პროექტი მოყვანილი იქნას დამტკიცებულ გაპთან შესაბამისობაში და წარმოადგინეთ 3 (სამი) სასაწყობე შენობა, აღნიშნულის მიხედვით შესწორდეს მთლიან პროექტი, ყველა შესაბამის ველში.

- საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: გენგეგმაზე საწყობის შენობებს მიუთითეთ ნუმერაცია (№1, №2, №3). გენგეგმაზე დაიტანეთ გამწვანების კონტური, კ3 კოეფიციენტის შესაბამისად.

- არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოსადგენია სეზონის შესაბამისი, უახლესი სიტუაციის ფოტომასალა, საპროექტო ტერიტორიის ჩვენებით.

- ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: ველში დააფიქსირეთ სამი საპროექტო შენობიდან ყველაზე დიდი შენობის განაშენიანების ფართობი.

- ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: ველები შეივსოსო ჭრილის ნახაზების შესაბამისად (დააფიქსირეთ მაქსიმალური ჩაღრმავების ნიშნული).

- ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ველები შეავსეთ ცალ-ცალკე შენობების მითითებით, ბოლოს ჯამური მაჩვენებელი (შენობა №1 +შენობა №2+ შენობა №3).

- შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: .შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: .შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: ნახაზებზე მიეთითოს შენობების ნუმერაცია - დასათაურება.

- ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოადგინეთ სამივე საპროექტო შენობის არსებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, ამავე ფოტოსურათებთან ერთად.

- შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: სიმაღლის სქემები სამივე საპროექტო შენობისთვის წარმოდგენილი იქნას ყველა სამეზობლო საზღვრის მხრიდან, № 6791774 ბრძანებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად.

- წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

- წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევა;

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს:

ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;

ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;

გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.

- წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა;

საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის და კონსტრუქციული სქემის ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოსადგენია თანდართული საესპერტო შეფასებით.

- საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

კ-3 კოეფიციენტის ფართობს;

გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26319933728324

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240388333

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2024 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის პირველ აპრილს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართა, მოქალაქე **ალექსანდრე კოპტევმა** .მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **ალექსანდრე კოპტევმა (დაბ.21.06.1966წ პ/ნ 01033003537)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადადა წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ალექსანდრე კოპტევმა (დაბ.21.06.1966წ პ/ნ 01033003537)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **ზაზა ბასილაძეს (დაბ.11.11.1982წ. პ/ნ 41001006464)** „შემდგომში-რწმუნებული“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, საკრებულოში ,გამგეობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მათ შორის მოახდინოს შესწორების, ცვლილების რეგისტრაცია, ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, განსაზღვროს უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) კონფიგურაცია, გამიჯვნა/ გაყოფა/ გაერთიანება/სერვიტუტით დატვირთვა).ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, თანხმობა, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.
წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 18.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა,** და დღგ. 3.24 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N169-ე მუხლის პირველი ნაწილისა აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 **ლარი,** თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ----------

ნოტარიუსი ---------- ქ. ოდილავაძე